1930

12 693

Академия наук

მხატვარ დენის სურათით (ვაზ. „პრავდა")

ზოგიერთი მუშაკი
არ შეწუხდა მზადებით,
კოლექტივებს აშენებს
ერთი ხელის დადებით.

— მე წინ რა დამიდგება!
ამბობს ბრძენი კაცივით.
საქმეს ჭკუით არ ზომავს
მიაბოტებს ვაცივით.

არ უცქერის — წინ გზაზე
ცლდე არ ზ თუ ბექია.
ახე იმოღვაწეებს
მხოლოდ ნაცარქექია!

ფრონტიდან

ამხანაგებო, ხედავთ—
მოდის სულ სხვა ძალა..
შეხვეთ სოფლის ფერი
როგორ შეეცვალა.
ვინც ძლივს იხარიდა კვლით
ანგულს და ახოს—
დღეს მოვიდეს, ჩვენი
შრომა დაინახოს.
ვინც ეძებდა ლუკმას
უბარაქოს, დღეურს—
დღეს შეხედოს სოფლის
შრომას კოლექტიურს,
რაც ვერ შესძლო გლეხის
დაჩაგრულმა ძალამ,
ეხლ საერთო შრომამ
სახე შეუცვალა...
მაგრამ ზოგი „ბრძენი"
საქმეს აქაც ახდენს.
ხურს საქმე დიდი—
უცაბედად ახდენს.
ზის ქალალდებს ჩხაპნის,
ან არა და ბრძანებს,
შზა ჰადი და პური
რომ მოესხას ყანებს.
ერთი ამ ბრძენს დახე
ზღვა ხურს კოვზით აწყოს
„პრიკაზ-ბრძანებით"
კოლექტივებს აწყობს.
პირველ რიგში უტევს
ქათმებსა და ბატებს.
ოს არ იცის, ამით
ისევ კულაკს ჰმატებს..
არ გაუშვა თუ კი
შეხვდა ერთი-ორი
ან კუდალა ძროხა,
ან თხუნელა ღორი.
ესაც არაფერი,
გეუბნებით მართალს,
ხელი მიჰყო კვერცხის
ალრიცხვას და დათვლას.
ქათმებს ასე უტევს,
საქმეში კი ზანტობს.
ჩვენ „ბრძენს" თავზე სალტე,—
ჭკვა არ დაეფანტოს!
ასეთია ბიჭი,
ალარ ახხოვს ოფლი.
ალარ ახსოვს, არა
რა გვჭირდება დღეხა.
რას მიქვია გლეხთან
ხაუბარი ტკბილად.
ახსნა-განმარტებით
არ წუხდება ტყვილად.
—შევა კოლექტივში,
თუ არა და—მივიცხებ,
რომ უმატოს თავში
ციებამ და სიცხემ!..
ზის ბრძენივით, მარტო
ცხელ-ცხელ „პრიკაზს" აცხობს
და ქალალდზე ათან
კოლექტივებს აწყობს
ერთი ჭკოსხეთ ამ „გმირს",
ბრძენია თუ შტერი?
ამით საქმეს ვვილოს
თუა საქმის მტერი?
ერი ჭკოსხეთ ამ „გმირს"
გლეხს რომ უტევს რიხსვით,
ვის აკვირვებს მხოლოდ
კოლექტივთა რიცხვით?!

ღ რ ი ნ ა ვ ე ნ

საბჭოთა კავშირს უტევენ
ცილისწამებით, ბორებით,
მთელი ქვეყნის უსაქმო,
მცოხარა—მუქთა ხორები.

თუმცა რას დაგვაკლებს იმათი
ბორი, ლანძღვა და გინება.
ბოლოს დადგება ფინია—
ყეფა რომ მოეწყინება!

შოლტკარებო, მოსცხეთ
ვინც საქმეში ზანტობს,
რომ ასეთი „ხიბრძნე",
ყველას გაეფანტოს—
მოსცხეთ ვინც წინ მიხტის
და ყინც უკან გვრჩება.
კოლექტივის მტრობა
ნურვის ნუ შერჩება...
მოსცხეთ ყველას ვინც კი
ულალატებთ საქმეს!
მოსცხეთ ნუ დაზოგავთ
წურც შოლტს და ნურც ხახრეს!

შოლტიანი.

საიდუმლო გარათი

სოფელ არბოშიკში მიერთვას კოლექტივის „ხელმძღვანელს" გაბრო კოტაშვილს

სალამი და გამარჯვება ჩვენს ძმასა და პირის ზიარებას გაბროს.. გავიგეთ შენი ამბავი კოლექტივიზაციის საქმეში დიდ თაოსნობასა და უნარს იჩენ თურმე.. გლეხობასაც აკი დაუფასებია შენი ღვაწლი და კოლექტივის გამგეობის თავმჯდომარედ აურჩევიხარ.

თურმე თავგამოდებით ებრძვი ყველა არამზადებს და მატყუარებს. განსაკუთრებით იმათ ვინც კოლექტივში შესვლამდე ჰყიდის მთელ თავის მუშა საქონელს და საწარმოო იარაღებს.. ასე უნდა მაშ! განაგრძე, ისევ ისე „ერთგულად" იბრძოლე საზოგადო საქმისათვის. შენი სახელი კოლექტივში სამახსოვროთ დარჩება.

ეგ კი არა გაბროჯან, იმ დღეს ის კაცი ვნახე ვისთვისაც, შენ კოლექტივში შესვლამდე მიგიყიდია მთელი შენი საქონელი, ძალიან გემადლიერებოდა. ისეთი ხარები და ძროხები მომყიდა ორი იმდენიც რომ გადამეხადა. არაფერს ვიზარალებდიო...

მაინც ბლომათ ფული მოუცია შენთვის.

ამ ბოლო დროს ძალიან გაჭირვებაში ჩავარდი. მთელი თანხა შემომეხარჯა. მე დანამდვილებით ვიცი, რომ ეგ ფული შენ „შავი დოსათვის" შინ გაქვს ხელოხლებლად შენახული და თუ კაცი ხარ, მასესხე, თუმანში თუნდა ორ მანათს გადაგიხდი...

იმედი ვ-ქვს ჯარს არ მიტყუვი და გაჭირვებიდან ამომიყვან.

ორომესი პატივისცემით

შენი ტიკჭორა ჭიკჭიკაშვილი.

გამოიღვიძეს

გახურებული ხვნაა,
მიწა ვერ უძლებს რკინას.
სოფლის კავშირს კი ისევ
მამა-პაპურად სძინავს.

ეხლა შეუდგა თესვის
ინსტრუქციების გზავნას,
როცა სოფელში კიდეც
მკას დაუწყებენ ყანას.

სიცხე გაუზომეთ!

სოფ. ქვედა-სიმონეთში სათესლე მასალა აღმასკომში მიიტანეს, დააბროვეს და შემდეგ უპატრონოთ მიაგდეს.

უყურადღებოთ მიტოვებულ სიმიდს გაუჩნდენ ბოლოს „პატრონები". ესენი გახლავან: ღორები, ქათმები, ინდაურები.

— ღრ! ღრ!—ღრუტუნებენ ღორები, —რა გემრიელი ყოფილა სათესლე სიმინდი.. სჭამეთ რამდენიც შეგეძლოთ, გაძეხით, გასუქდით!

— კა, კა, კა!—კაკანებენ ქათმები,— ბივსეთ ჩინჩახვები, კენკეთ რამდენიც გსურდეთ, სანამ აღმასკომის თავმჯდომარესათვის პანღური არ ამოუკოავთ! იხელთეთ დრო!

გაუზომეთ სიცხე აღმასკომის თავმჯდომარეს და ყველა იმათ, ვისაც თვალყური უნდა ედევნებია სათესლე სიმიდის შენახვისათვის! ამ ხალხს, რომ 42 გრადუსი სიცხე არ ჰქონდეთ, წარმოუდგენელია ამ გარემოებისთვის ყურადღება არ მიექციათ.

„შოლტი" დარწმუნებულია, რომ მათ სიცხე თავში და ტვინში აუვარდათ!

ჩვენი აზრით არც **თეკლათის** და **ვოკის** თემსაბჭოების თავმჯდომარეებს აქვთ ჩვეულებრივი სიცხე. ნიძლავისთვის აიღეთ ტერმომეტრი და შესჩარეთ იღლიაში.

ა? ასე ხომ? 40 გრადუსამდე ავიდა? ცხადია ასე იქნებოდა, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, განა ასე თავგამოდებით დაიწყებდენ კულაკების და ყველა ჯურის შავსიელის მფარველობას?!

თუ თქვენ სოფლებში თოვლი იშოვება, დაადევით თავზე ორივე თავმჯდომარეს,—შეიძლება გაგრილდეს მათი თავები და ტვინიც წესიერ კალაპოტში ჩადგეს.

მოგეხსენებათ, სიცხის დროს ტვინი მაჭარივით სდუღს და ასით მდგომარეობაში მეტი სიბრიყვის ჩადენაც შეუძლია კაცს.

ბეჩა.

ფხიზლად!

(ს. ოფეთი)

ოუ ლალე და ლალეო
ბანი მითხარით მალეო!
კოლექტივისა წევრი ვარ,
გვერდში მდგომთ ვენაცვალეო!
აღარა მინდა ორლობე,
ყორე, საზღვარი, თხრილები.
ვისაცა უნდა—მას ჰქონდეს,
მე აღარ შევეცილები.
კოლექტივების წევრები
პეტრე, პავლე და ილია!
უნდა გაუწყოთ მეგობრებს
ერთი რამ, რაც ნამდვილია:
კოლექტივების წევრებო:
კულაკებია ფარულად.
ვამხილოთ გაიძვერანი,
ვინც ჩვენთან შემოპარულა!
თუ ვინცობაა დაიწყეს
სხვანაირი რამ „ჩიჩაფი",
ეხლავე მოუმარაგოთ
მათ ჭონიანი ნიჩაფი.
ოუ ლალეო, ლალეო,
ბანი მითხარით მალეო.
კოლექტივისა წევრი ვარ,
გვერდში მდგომთ ვენაცვალეო!

შურდული.

არც წინ წარგენა



ჭინჭრაქა თავს რომ აქნევს— ასე წინ უსწრებს საქმეს.

არ დაუფასეს

სოფელ იფნიანის საბჭოში შევარდა მდივანი და დაიღრიალა:

— ცხელ-ცხელი ამბავი გავიგე... რადიოს უსმენდი... ცენტრიდან ლაპარაკობდენ!

— რა ამბავი გაიგე?—შეეკითხა საბჭოს თავმჯდომარე დოყლაპაშვილი.

— რა და, ისა რომ, კულაკები ისე უნდა მოვსპოთ სოფელში, ჩემო ძამიავ, როგორც კლასი!

— მადლობა ღმერთს.—ეხლა კი არა ადრე უნდა მოგვესპო ეგ მუქთახორები.. აბა, შეუდექი, ჩემო მდივანო მუშაობას—შემოიარე სოფელი და შეატყობინე ყველა კულაკს—ასე და ასეა თქო საქმე, ხვალე უნდა მოგსპოთ და მოემზადეთ თქო!

მეორე დღეს საბჭოს ეზოში თავი მოეყარათ იფნიანის კულაკებს და დიდ აურ-ზაურში იყვნენ. დოყლაპაშვილი დილიდანვე შეუდგა მუშაობას და საღამოს ექვს საათისათვის კულაკობა უკვე მოსპობილი იყო. მდივანი კი ოხვრით და ხვნეშით მიმართვას სწერდა ცენტრში: — „ამით გაცნობებთ, რომ სოფელ იფნიანის საბჭომ სრულიათ მოსპო კულაკობა სოფელში“-ო.

ექვსი დღე და ექვსი ღამე პასუხს ელოდა ცენტრიდან დოყლაპაშვილი. მეშვიდე დღეს პასუხის მაგიერ იფნიანს ცენტრიდან ეწვია პარტკომის მდივანი და ორი სხვა ამხანაგი:

— ძალიან გაგვაკვირვა თქვენმა მომართვამ და ჩამოვედით გავიგოთ, რა მოგიმოქმედებიათ! უთხრეს დოყლაპაშვილს ჩამოსულებმა.

დოყლაპაშვილმა გადაისვა ხელი ულვაშზე და, როგორც ძველად იცოდა, გაიჭიმა სარეცით და უპასუხა:

— ოცდა ოთხ საათში მოვსპეთ!

— მათი ქონება რა უყავით? კოლექტივს გადავეცით?

— ეშმაკმა იცის სად და ვის გადასცეს! ყველაფერს როგორ ვადევნებდი თვალს!?!

— როგორ თუ ეშმაკმა იცის—ქონების ჩამორთმევას ვინ აწარმოებდა?

— ვის უნდა ეწარმოებინა, თვითონვე აწარმოებდენ: რაც შეეხება კოლექტივს, როგორც თქვენ ახსენეთ, ყოფილი კულაკები ეხლა სიამოვნებით ეწერებიან..

— მოიცა, მოიცა ამხანაგო, როგორ თუ სიამოვნებით ეწერებიან... თქვენ როგორ მოსპეთ კულაკობა?!

— როგორ და, როგორც რიგი და წესია: მოუყარეთ თავი ყველას და შეკითხეთ: — გინდათ თუ არა დღეიდან აიღოთ ხელი კულაკობაზე და გაუთანასწორდეთ მეთქი დანარჩენ გლეხობას? „როგორ არ გვინდაო, დიდი სიამოვნებითაო“ — მაშ რაკი ეგრეა, ეხლავე შეუდექით საქმეს—24 საათში განკულაკებული უნდა იყვეთ მეთქი.. და წარმოიდგინეთ, ზოგიერთმა 24 საათში კი არა 12 საათში გაყიდ-გამოყიდა მთელი ქონება. მერე, როგორც წესია, ინდივიდუალური ბეგარაც მოვესენით და მთელი ყოფილი კულაკობა ღარიბ გლეხების სიაში მოვაქციეთ, ისე რომ..

ალბათ ჩამოსულ ამხანაგების სახეზე გაკვირვება აღიბეჭდა, რადგან დოყლაპაშვილმა შესწყვიტა ლაპარაკი და შეეკითხა მათ:

— არა გჯერათ?! ჩემმა მზემ მართალს გეუბნებით.. არც ერთი კულაკი აღარა გვყავს.. კულაკები გვემუქრებოდენ, ერთი აურ-ზაური, აყალ-მაყალი და ცხვირპირის მტვრევა იყო, ყვიროდნენ: — „არა ჯერ მე უნდა მომსპო და მერე სხვებია, თორემ ყოფას გიტირებ“-ო, მაგრამ მილიციის საშუალებით მოვაწესრიგე საქმე..

დოყლაპაშვილმა კიდევ ერთხელ შეხედა ჩამოსულ ამხანაგებს და როცა მათ სახეზე ჯერ გაკვირვება და მერე წყრომა ამოიკითხა, ნაღვლიანად ამოიგმინა:

— ამდენი მიშრომია და მაინც არ მიფასებენ! მოდი და ამის შემდეგ თავი მიაკალ საქვეყნო საქმეს!

ჭინკა.

საგზაო სექციაში

— ამხანაგებო, როდის შეაკეთებთ გზას?

— ეგ საკითხი ახე ადვილად ვერ მოგვარდება.. ჯერ უნდა ყოველმხრივ განვიხილოთ და გავაღრმაოთ!

— რაო, კიდევ უნდა გააღრმაოთ?! რაღა საჭიროა, როცა ისიდაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ორშოები გვხვდება?

არც უკან ჩამოტრჩენა

ეს უკან დარჩა გზაში— რადგან სწრაფი ჰყავს „რაში“.

„ბრწყინვალე“ თაიგული

(წერილი შოლტიანს)

ლიუქსემბურგის (ტფილისის ოლქი) კოოპერატივის გამგეობამ, აზოვის და კრომერის შემადგენლობით, დამავალა გაცნობოთ შემდეგი:

— „კოოპერატივში განვაახლეთ მიღება ყოფილ ვაჭრების, მეფის მთავრობის ყოფილ მოხელეების, გამფლანგველების და საერთოდ იმ ჯურის ხალხის, რომელნიც ზემოთ ჩამოთვლილებთან მეგობრულ განწყობილებაში არიან. მათი მიღება განვაახლეთ იმიტომ, რომ მათ შესანიშნავად იციან ხერხები ფულის გაფლანგვისა. ეს რომ ასეა, ამას ეხლავე დაგიმტკიცებთ: არუხლოს საზორცეს გამგემ გადაყლაპა 800 მანეთი, ხოლო კოოპერატივის გამგემ ლევან აკოპოვმა 400 მანეთი შესანსლა. ცენტრალურ მაღაზიის გამგე სოსო ნარიმანოვმა შეიჯიბა რამოდენიმე ასეული მანეთი და ეს ისე კოხტათ მოაწყო, რომ მადლობითაც გაისტუმრეს ლიუქსემბურგიდან.

თქვენ გგონიათ ამით თავდება აქაურ გმირთა სია და მოღვაწეობა? ხომ დაგვემდურება რომ არ მოვიხსენიოთ გასტრონომიულ მაღაზიის ჯამი ოგანეზა მარტიროსოვი, რომელმაც 706 ობოლი მანეთი თავის ჯიბეს შეაფარა და გაათბო!

მარტიროსოვი მარტო როდი გახლავთ. მას გვერდს უმშვენებს მშვენიერი კრებული: ნიკო არუთინოვი, რომელმაც ერთ დღეს უცაბედათ 300 მანეთს ულურწი უქნა; სახორცე № 2 გამგე, რომელმაც საწყალი 260 მანეთი გაიმასქნა და სახორცე № 4 გამგე, რომელსაც 400 მანეთი ყელში გაეჩხირა და რომ არ გადაეყლაპა, აუცილებლად დააღრჩობდა.

უჰ! კინაოამ დაგვავიწყდა ლევანა ოგანოვი, რომელსაც ხელის ჭუჭყათ 300 მანეთი მიეკრა.

ვინაიდან მათი მოღვაწეობა ჯერაც არ დაფასებულა და ისინი ასე უყურადღებოთ არიან მიტოვებული, ვშუამდგომლობთ „შოლტის“ წინაშე მათი სახელები მაინც იქნეს მოხსენებული.

რათ უნდა დაეკარგოს შთამომავლობას ასეთი ბრწყინვალე კრებულის შემადგენლობის სახელები?!

ჟანელი.

ტორიანის მოგზაურობა

(ს. გაჭედილი)

არე-მარე მოვიარე
ვნახე ერთი უცხო მხარე:
არ აკლია ელნათური,
გადმოყურებს ციდან მთვარე.
სოფელს ჰქვია: გაჭედილი!
აქ შემთხვევით შევიარე..
ვინახულე აღმასკომი
საუცხოვოდ მოწყობილი,
სად ყველაფერს ურჩევნიათ
ტკბილად ხვრინი, ტკბილად ძილი
ტყეებს „იცავს“ აღმასკომი
რახა-რუხით, სიტყვით, ხმებით.
ნამდვილად კი ტყეს პატრონობს
ხელეჩო და ნაჯახები.
ენლა ვნახოთ სამკურნალო,
ექვს წლის სტაჟით ინვალიდი:
უკაროს და უფანჯაროს
ჩამტვრეულია გზაც და ხიდი.
ყურადღებას არვინ აქცევს,
თუმცა უნდა შველა დიდი.
კოოპერატივს შესვლა თუ გსურს,
უნდა გქონდეს კირკა-ლოქი,
რადგან ექვს დღეს კვიროაშია
კარებს ჭიდია ბოქლომი.
გლეხკომის სასადილოში
თავმჯდომარეთ არის ლუკა..
უშვერ სიტყვა-გინებაში
გაყლაპიებს ალიგ ლუკმას.

ტორი.

დაასწრო

წინად რათ არ შემოიტანეთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ?

— რა ვიცოდი, თუ საბჭოთა ხელისუფლება ასე ძლიერი იქნებოდა?!

გულწრფელი

— წაიკითხე რა დაუწერიათ შეახ[illegible] კედლის გაზეთში?

— წავიკითხე კი არა, ეგ წერილი მ[illegible] თითონ დავწერე.. შემეშინდა უფ[illegible] უარესი არ დაეწერათ და დავასწრ[illegible]

რასაც დასთეს-იმას მომკი

ვინც დასთესს მარცვალს დარკვეულს
პური მოუვა მრავალი.
ეჭნება საკუთ ბეღელი
და უხვი შემოსავალი.
ვინც ბალახ-ბულახს დასთესავს
ბალახს მიიღებს—წესია.
ყველა მოიმკის იმასა.
ვისაც რა დაუთესია.
ასეთი არის კანონი,
მას არ სჩვევია ცვლილება.
ამას ამტკიცებს ხალხური
სიბრძნე და გამოცდილება.
მოგეხსენებათ კულაკი
მშრომელი გლეხის მტერია.
უყვარს არევა საქმისა—
თუ სადმე გამოერია.
იყო ნამდვილი ბატონი,

დროება ჰქონდა ჭამისა.
მთლად შესანსლა სოფელი,
რიდი არ ჰქონდა ამისა.
ბოლოს გაიგო გლეხობამ
შინ მტერი ჰყავდა ცბიერი;
იმას მიჰქონდა დოვლათი,—
თვითონ რჩებოდა მშიერი;
კულაკს რჩებოდა რასაცკა—
მოინაგრებდა დღიურად.
გლეხობამ ეს რომ გაიგო—
შეერთდა კოლექტიურად...
საერთო შრომა დაიწყო,
მტერს შეუტია ენერგიით.
გადააშავა მინდვრები
ფოლადითა და რკინითა.
ეს არ ეამა ბობოლას,
მტერი რომ ნახა ძლიერი:
— შეხედეთ ერთი მე მიტევს
ყველა ოხერი მშიერი.
მოჯამაგირეს ვინ მისცა
იმდენი ჭკუა - გონება,
რომ გზას მიღობავს, თვითონ კი
მთელ სოფელს ეპატრონება!—
ასე დაიწყო სისინი,
კრებაც გამართა ღამითა
და მორწყო იქაურობა,
ბოლმით, გესლით და შხამითა!
მონახა ყველა ერთგული,
„მოძმენი“ აიყოლია.
ვისაც მასავით სამ-სამი
მოჯამაგირე ჰყოლია.
ვინც ბატონობდა სოფელში
და ედგა ხვავის გორები.
ყველა შეამელი-წურბელა,
მცონარა მუქთა ხორები.
დარაზმა. აასისინა,
ენა გალესა ცბიერი.
ხან შეუტია პირდაპირ
და ხან მოკეთის იერით.
— სად გაგონილა საერთო
შრომასა ჰქონოდეს ნაყოფი.
არ გეღირსებათ არცროდის
სარჩო წლიურად სამყოფი.
ასე ნელ-ნელა გაბა
თავისი „აგიტაცია“.
კულაკი ყველა სოფელში
„მოხერხებული“ კაცია.
კოლექტივები დაშალოს,
აი იმისი წადილი.
ხან თუ „ბობაობს“ პირდაპირ,
ხან პურ-მარილ, სადილით...

კოლექტივები გამრავლდა
ვერ დააბრკოლეს იმათა.
რამდენი კვირაც გავიდა,
ერთი ათასად იმატა.
კულაკმა სხვა ხერხს მიმართა
მიწა რომ დახვდა ქვიანი.
უნდა ამ საქმეს როგორმე
კვლავ მიაყენოს ზიანი...
— გაიგეთ?!—კოლექტივებში
შეაქვთ რაცკია, ყოვილი
მამალი, ბატი, ქათამი
და შინაური ცხოველი.

ლორი მოხვდებათ თუ ძროხა,
თითო, მეწველი დღიურად,
ეხლავე უნდა გაერთიდეს
სუყველა კოლექტიურად...
ხალხო, თქვენ აღარ დაგრჩებათ
არც ერთი კრუხი, მამალი.
დახოცეთ, ჭამეთ, დამალეთ—
რაც კი გაქვთ გადასამალი!..
„ქვიანი“ არის კულაკი,
სოთლებს მოჰფინა ჭორები.
ყველგან აფრინა თავისი
შიკრიკი მუქთახორები!..
ზოგან მოტყუვდა გლეხობა
აჰყვა შეთითხნილ ჭორებსა.
მუსრი გავლო ხილდახელ
ბატ-ინდაურს და ლორებსა.
ზარი დაეცათ ცხოველებს,
ქათმებს შეექნათ ხმაური.
გოჭმა დაიწყო ჭყივილი
და ძროხამ აურ-ზაური.
მამალი შეხტა ლობეზე
და მაგრა მორთო ყივილი:
— ძმებო კრებაზე მოგროვდით
უნდა დავიწყოთ ჩივილი.
რა დავაშავეთ, რომ გვკლავენ
ვიკითხოთ ჩვენი ვალია.
გამოვიძიოთ ეხლავე
ეს საქმე ვისი ბრალია?!
მამლისყივილი მოედო
საღორეებს და ფარეხებს.
მახარობლებმა ყოველგან
კრების ნიშანი დარეკეს.
დაიწყო დენა ცხოველთა,
ერიამული და მუქარა.

ვინც მათ უზრუნველ ცხოვრებას
სამარე ამოუთხარა...
ბოლოს გაიხსნა მიტინგიც,
თავმჯდომარეობს მამალი.
— ამხანაგებო, ჩვენს ტკივილს
გამოუნახოთ წამალი.
როგორც ნამდვილად შევიტყე
ეს სულ კულაკის ბრალია.
იცოდეთ ჩვენი და-ძმების
სისხლი კულაკმა დალია!
— მართალი არის, მართალი,
იმან მოჰფინა ჭორები!..
ქათმებმა შექნეს ყიყინა,
იმათ კვალს მიჰყვენ ხბორები.
ცალმხარეს წამოიშალნენ
განრისხებული ლორები!..
კრებას მოედო ხმაური,

ერიამული და ყიყინა.
შურის ძიების წადილმა
ყველაში თავი იჩინა!
ამ დროს, სად იყო-სად არა,—
კულაკმა ჩამოიარა.
ალბათ სწუხდა, რომ კოლექტივს
ვერ გაუჩინა იარა.
ქონით გაბერილ ტომარას
ტანს ჩოხა ეცვა ქართული.
მან კრება ვერც კი შენიშნა,—
ფიქრებში იყო გართული.
თვალი რომ მოჰკრეს ბობოლას,
კრება გუგუნმა არია.
თავზე დაეცნენ ხელდახელ,
დასცეს გლოვა-და ზარია,
ზოგმა წიხლი ჰკრა [illegible]ში,
ზოგმა გა[illegible] [illegible],
[illegible] [illegible],
[illegible] [illegible].
ურტყავდა დიდი პატარა,
არავის დაუზოგია.
წაუხდა საქმე ბობოლას.
ზედ შესდგა მთელი ჯოგია.
არვინ მოვიდენ ძახილზე
მშველელი—შუაკაცები.
გაგუდეს, გზაში დაადგეს
კულაკი „პატივნაცემი“...
არვის შერჩება არამი,
ძველთაგან ასე წესია..
ყველა მოიმკის ღირსებით,
ვისაც რა დაუთესია!

ჭრიჭინა.

᩠ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲔᲜ... ᲡᲘᲡᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲙᲣᲚᲐᲙᲘ—რა გინდათ ამ კოლექტივისკენ რომ იცქირებით? დამიჯერეთ, თქვენთვის კარგი არ იქნება!.

ᲒᲚᲔᲮᲘ—ვერ დაგიჯერებთ! კოლექტ'ვი რომ კარგი არ იყოს ჩვენთვის, აღარც შენ დაიწყებდი მის გინებას!

„ᲛᲝᲙᲔᲗᲔᲡ“ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲐ

დათია მარტო იჯდა ოთახში და მწარე ფიქრებს მისცემოდა.

ბრაზი აღრჩობდა, როცა წარმოიდგენდა, რომ კოლექტივში გაერთიანებული სოფელი სხარულით შესდგომოდა საერთო შრომას.

დათიას კი არავინ იკარებდა. ასე ეუბნებოდენ:

— ვერა, ძმაო, ვერ მიგიღებთ ჩვენს ოჯახში. ჩვენ შრომა გვინდა, შენ კი სხვისი ნაოფლარით ცხოვრება გიყვარს. კულაკს რა უნდა ჩვენს წყებაში?! ბოლოდ საქმეს აგვირევ, მეტი სიკეთე შენგან არაფერი ქნება!

— უხ, ერთი ისეთი რამ მომაგონია, რომ ერთბაშათ ყველას ჯავრი ამოვიყარო!—ოხრავდა დათია.

ამ ფიქრებში იყო წასული, როცა უეცრად რაღაც ბოროტმა აზრმა გაუღიტინა ტვინში. წამოდგა, საჩქაროთ ტანთ ჩაიცვა და თითქოს სირბილით გზას გაუდგა.

საღამოვდებოდა, როცა კოლექტივის წევრ გაბოს სახლის ჭიშკარს მიადგა.

— მე ხომ დავილუპე და დავიმსე,— მძიმედ ქლოშინებდა სიარულისაგან დაღლილი მსუქანი დათია,—მაგრამ შენ რაღათ იღუპავ თავს?! შენმა სიყვარულმა და კარგმა მეზობლობამ მომიყვანა შენთან.. აი ეს-ეს არის ასეთი ამბავი გავიგე: ორი დღის შემდეგ ყველას ჩამოგერთმევათ ქათმები, ინდაურები, გოჭები და ბატები. სხვას რათ უნდა ჩაუგდო ხელში შენი ოჯახის დოვლათი? მოასწარი, ამ ორ დღეში დაჭკალი ყველაფერი.. მალე, თორემ შემდეგ გვიან იქნება.. შენ კარგ მეზობელს და მოყვარესაც გაგებინე.. ისინიც გადაარჩინე ამ უბედურებას!

კიდევ არ სჯეროდა გაბოს დათიას სიტყვები, მაგრამ მათ საუბარს ყური მოჰკრა გაბოს ცოლმა მაიამ და აღარ მისცა ქმარს საშველი:

— მირონია და ძმტომ შეგატყობია. მართალი იქნება... გამოიტანე ნაჯახი, დანა.. წავაგდებიოთ ყველაფერს თავი!

გაბრიყვდა გაბოც.. აკრიაზდენ ქათმები, როცა უჩვეულო დროს ცოლქმარმა ხელი წაავლეს თავს.. აღრიალდა ღორი..

რამოდენიმე ხნის შემდეგ გაბოს ჭოხში შუა ცეცხლთან ათამდე დედალი, ორი მამალი და ღორი ეგდო სისხლისგან დაცლილი.

— უშველა ღმერთმა დათიას! —ლოცავდა მაია ამბის შემტყობს და თან ფუფქავდა დაკლულთ,—რომ არ შეეტყობიებია, ხომ დავიღუპებოდით!

მეორე დილით გაბოს ეზო მიტოვებულ კარ-მიდამოს მიაგავდა. არც ერთი ქათამი.. აღარც ღორი ღრუტუნებდა.

— არ გაგებიო არაფერი გიგოს!— ეუბნებოდა მაია გაბოს..—რამდენს ვიცინებ, როცა მის ქათმებს და ღორებს წაიყვანენ ასე.. მოუხდება იმას! როცა წაართმევენ, მერე ვეტყვით: ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ არ გითხარით.. იმიტომ გიქენით ასე, რომ შენმა ბრუტიანმა ცოლმა შარშან გამლანძღა და შენ კი მხარი დაუჭირე თქვა!.

ᲖᲣᲡᲢᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

მახწავლებელი: მამა შენი კოოპერატივში გამგეთაა და თვეში აქვს ჯამაგირი ასი მანეთი. მაშ რამდენს მიღებს ის წელიწადში?

მ. წაფე: წელიწადში? თორმეტ ათას მანეთს!

ᲕᲔᲫᲔᲑᲗ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲡ

სამტრედიის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა სთხოვს ყველას, ვინც იცნობს კ. კაკაბიძეს, შეახსენოს მას, რომ ის ითვლება ამხანაგობის თავმჯდომარედ და რომ მისი ნახევა სანატრელად აქვთ გადაქცეული გამგეობის წევრებს და საერთოდ ყველა იმას, ვისაც ამხანაგობაში რაიმე საქმე აქვს.

ამხანაგობის კანტორა.

ამის მოლოდინში ტკბილად ილიმებოდა მაია. მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როცა ქათმების და ღორების წასართმევად გაბოსთან მოვიდოდენ, მაგრამ...

მაგრამ ორი დღეც გავიდა, ორი კვირაც და არავინ მოსულა.

— დევილუპეთ მაია? გაგვასულელა იმ ოხერმა დათიამ? — ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე გაბო.

— დარდი ნუ გაქვს, დღეს თუ ხვალ მოხდება ჩამორთმევა! — გულს არ იტეხდა მაია.

ერთ დღეს გაბო უჩვეულოდ გაბრაზებული დაბრუნდა სახლში.

— არ დამენახვო დედაკაცო! ცოდავს ამაშორე, ახლოს არ მომეკარო, ჩემს თვალებს არ დაენახვო!—ყვიროდა გაბო და ჯოხს იქნევდა—შენი წყალობით მომივიდა ყველაფერი! შენ გამაბრიყვე, შენ! შენ დაღუპე ჩემი ღორი და ქათმები!

— რა იყო ვეფო?!—გაკვირვებული შეჰყურებდა მაია და შიშისგან ახლოს ვერ ეკარებოდა.

— რა და, დათიამ დაგვლუპა! როდის იყო ის კარგი კაცი, რომ ეხლა ექნა ჩვენთვის სიკეთე?! ტყუილი ყოფილა ყველაფერი! ჭორი!

დაღამებამდი მაიამ სახლში შესვლა ვერ გაბედა. მაიას ქმრისაც ეშინოდა და აბოროტებდა ის აზრი, რომ გიგო და მისი ცოლი ალბად ეხლა დასცინიან.

დამწუხრებული გაბო კი თავჩაქინდრული იჯდა კერიასთან და ერთსა და იმავეს ნაღვლიანად იმეორებდა:

— ასე როგორ გავბრიყვდი! ასე როგორ დავუჯერე იმ არამზადას!

ნაშა.

Акад. И. Гришашвили Академия наук ГССР

ᲙᲣᲚᲐᲙᲘ—ხომ გაიგე, რომ კოლექტივში გაერთიანებულ სოფლებიდან მოხუცებს თავი უნდა მოუყარონ, შემდეგ მოხარშონ და იმათ ქონიდან საპონი უნდა დაამზა-დონ?

ᲒᲚᲔᲮᲘ—თუ ადამიანის ქონიდან საპონი უნდა დამზადდეს, შენზე მეტი ქონი ვისა აქვს!.. ავიღებთ და შენ მოგხარშავთ... ეგეთი ჭორები ჩვენთან არ გაგივა!